საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000014007882720

№ 02-119-R **29 / ივნისი / 2020 წ.**

ბრძანება

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღება გამოცხადდეს სამაგისტრო პროგრამაზე: **„საშემსრულებლო ხელოვნება“** (კლავიშიანი საკრავები, ორგანი, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი /ვიოლინო, ალტი, ჩელო/ და ჩასაბერი /ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა/ საკრავები);
2. აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებისთვის (შემოქმედებითი ტურებისთვის) განისაზღვროს რეგისტრაციის ვადები:
   ა) დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე registration@tsc.edu.ge 2020 წლის 07 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით, თბილისის დროით 19:00 საათამდე;
   ბ) მითითებულ პერიოდში დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა დოკუმენტების ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი დრო 2020 წლის 11 ივლისი, თბილისის დროით 19:00 საათამდე.
3. კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სპეციალობის გამოცდაზე შემოქმედებით ტურში მონაწილე აბიტურიენტთა რიგითობა განისაზღვროს ანბანური პრინციპით, სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობის აბიტურიენტებისთვის კი კონცერტმაისტერთა ანბანური პრინციპით.
4. აბიტურიენტებს დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი **დოკუმენტაცია:**
   ა) შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა;
   ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
   გ) ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG);
   დ) გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის ასლი;
   ე) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის / უმაღლესი აკადემიური განათლების დამადასტურებელი დიპლომის ელ. ასლი (საბუთების შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ ბაკალავრებს, ვისაც გავლილი აქვს სამუსიკო-საგანმანათლებლო პროგრამა). დიპლომის ასლი არ მოეთხოვება იმ აპლიკანტებს, რომლებმაც სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2019-2020 სასწ. წელს.
5. რეპეტიციები ჩატარდეს 2020 წლის 13 ივლისიდან.
6. შემოქმედებითი ტურების განრიგი გამოცხადდეს 2020 წლის 11 ივლისს.
7. შემოქმედებითი ტურების ჩატარების პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 15 ივლისიდან 23 ივლისამდე.
8. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს საგამოცდო ცენტრის წევრებს, მიმართულებების ხელმძღვანელ;ებს, ფაკულტეტების დეკანებს ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბუღალტერიას.
9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება გამოქვეყნდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ნანა შარიქაძე